სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"



მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (CPV-79530000)

– – – –

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.
2. ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობის ინსტრუქტაჟი დეტალურად ასახულია `სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელოში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:
3. ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დედანის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე.
4. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოთ ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმან(ებ)ი.
5. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.
7. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ შემდეგ პირთან: თორნიკე ყაზარაშვილი ტელ: 5 (99) 88 44 24 , t.kazarashvili@gedf.com.ge

1. შესყიდვის ობიექტი:

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტექნიკური და იურიდული დოკუმენტაციის თარგმანის შესყივა როგორ ქართულიდან ინგლისურზე, ისე ინგლისურიდან ქართულ ენაზე.

თარგმანი შესრულებული უნდა იყოს სპეციალური ტექნიკური და იურიდული ტერმინოლოგიის გამოყენებითა და მაღალი ლინგვისტური სტანდარტების დაცვით. მაღალაკადემიურ დონეზე განხორციელებული თარგმანის შინაარსი და სტილი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დედანთან.

2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა, მომსახურების გაწევის ვადა, პირობები და ადგილი

2.1 სათარგმნი ტექსტის სავარაუდო მოცულობა წლის განმავლობაში ჯამურად როგორც ქართულ-ინგლისური, ისე ინგლისურ-ქართული შეადგენს **1500** გვერდს (A4 word-ის ფორმატი).

2.2 ერთ სტანდარტულ გვერდად ჩაითვლება არანაკლებ 1800 ნაბეჭდი სიმბოლო (სიტყვებს შორის არსებული მანძილის გარეშე) ამსახველი გვერდი. თარგმნილი ტექსტი წარმოდგენილ უნდა იყოს შემდეგი სტანდარტების გათვალისწინებით: Sylfaen, შრიფტი ზომით 12, ინტერვალი 1.5, მინდორი 2 სმ.

2.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი იტოვებს უფლებას სრულად არ შეისყიდოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სათარგმნი გვერდების რაოდენობა, ანუ შეისყიდოს ნაკლები და მას ამით არანაირი ვალდებულება არ დაეკისრება.

2.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ნათარგმნი ტექსტის დამუშავება: დედანის შესაბამისი სურათების, ნახატების, ცხრილების, სქემებისა და დიაგრამების ტექსტში ჩასმა.

2.5 მომსახურების გაწევა მოხდება შემსყიდველის მხრიდან ელექტრონული მოთხოვნის დაგზავნით შემდეგი პირობებით:

a. თუ მოთხოვნილი იქნება 20 (ოცი) გვერდამდე ტექსტის თარგმნა, მაშინ მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის გაგზავნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.
b. თუ მოთხოვნილი იქნება 50 (ორმოცდაათი) გვერდამდე თარგმნა, მაშინ მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
c. თუ მოთხოვნილი იქნება 50 (ორმოცდაათი) გვერდზე მეტი, მაშინ ნათარგმნის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, მაგრამ ვადა წარმოდგენილი უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში.

2.6 მიმწოდებლისათვის სათარგმნი მასალის მიწოდებას განახორციელებს სს ''საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი''-ს კონტრაქტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, თორნიკე ყაზარაშვილი.

2.7 მიმწოდებელი ვალდებულია ცალკეულ ეტაპზე მომსახურების დასრულების შემდეგ შესრულებული თარგმანის ტექსტი წარუდგინოს შემსყიდველის წარმომადგენელს .

2.8 შესრულებული თარგმანი მიღებულად ჩაითვლება ტექნიკური თუ იურიდული დეპარტამენტის კვალიფიციური წარმომადგენლის შეფასების შემდეგ.

2.9 მთარგმნელობითი მომსახურების მიწოდების ვადა იქნება ეტაპობრივად, შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.10 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გასაწევი მომსახურების ვადის შესახებ.

2.11 ფასთა ცხრილში მოცემული რაოდენობის სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში შემსყიდველს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

2.12 წინასწარი ანგარიშსწორების პირობა (ავანსი) არ განიხილება.

2.13 პრეტენდენტთან ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. სავალდებულო მოთხოვნა - მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება ანალოგიურ მომსახურებაზე.

პრეტენდენტს ან/და ყველა მის კონკრეტულ თანამშრომელს, რომელიც უშუალოდ განახორციელებს მომსახურებას (შემდგომში ,,მთარგმნელი''), უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება (ინგლისური ენის დიპლომირებული სპეციალისტი). აღნიშნული განათლების დასადასტურებლად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტების ასლები - დიპლომი, სერთიფიკატი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

,,მთარგმნელს'' უნდა ჰქონდეს ტექნიკური (ენერგეტიკული ტერმინოლოგია) და იურიდული თარგმნის გამოცდილება. აღნიშნული გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს თითოეულ შესრულებულ მომსახურებაზე დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მიღება- ჩაბარების აქტები ან მისი ტოლფასი დოკუმენტის ასლი.

დანართი # 1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტმა ფასები უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, გარდა დღგ-ს გადასახადის.

მომსახურების დასახელება	გვერდების რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადა
თარგმნა ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ ქართული	1500			ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პრეტენდენტის ხელმოწერა: ---------- ბ.ა

დანართი # 2

რეკვიზიტები

პრეტენდენტის დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ოფისის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	
E-mail	
ხელმძღვანელის სახელი გვარი	
ხელმძღვანელის პირადი №	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი	
ანგარიშის ნომერი	

პრეტენდენტის ხელმოწერა: ---------- ბ.ა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი N

ქ. თბილისი **---------- 2014 წ.**

1. მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2014 წლის ----------, ერთის მხრივ სს ‘‘ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ——————————— სახით და მეორეს მხრივ ——————————— (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ——————————————— სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. “მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას გაუწიოს “შემსყიდველს” მომსახურება (CPV კოდი: 79530000) დანართი #--ის და დანართი # -ის შესაბამისად.

2.2. დანართი #— და დანართი #— წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს ——————— (——) ლარს დ.ღ.გ.-ს ———— (შემდგომში – ხელშეკრულების ღირებულება).

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ,,მიმწოდებლის“ მიერ სათანადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ,,შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ,,მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

4.3 ,,მიმწოდებელი” ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ნათარგმნი ტექსტის სისწორეზე.

4.4. “მიმწოდებელი” მომსახურებას ასრულებს ტექნიკური დავალების შესაბამისად.

4.5 “მიმწოდებელი” ვალდებულია წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.6 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

5. გასაწევი მომსახურების ვადა და ადგილი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ———— (———) კალენდარული დღე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების დაგვიანებით გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ თარგმნის მომსახურების შესყიდვაზე. ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ კალენდარულ დღეზე მომსახურების სრულად შესრულების დღემდე.

6.2 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების არასრულად ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების შესწყვეტის დღემდე.

6.3 ამ ხელშეკრულების 6.1 და 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო “მიმწოდებელს” გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ “მიმწოდებლის” მიერ გაწეული მომსახურება დაწუნებულია ან ხარვეზებით არის შესრულებული, წუნდებული ან ხარვეზიანი მომსახურების მაგივრად ხარისხიანი მომსახურების გაწევის დღემდე.

6.4 “მიმწოდებლის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზრვრული მომსახურების საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში იგი ვალდებულია “შემსყიდველს” ერთჯერადი ჯარიმის სახით გადაუხადოს თანხა ——— (სახელშეკრულებო ღირებულების 10%) ლარის ოდენობის.

6.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

6.6 “შემსყიდველი” უფლებამოსილია მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს და ჯარიმის თანხა.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არშესყიდვის შემთხვევაში “შემსყიდველს” პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს “შემსყიდველი” კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ “შემსყიდველი” კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით “შემსყიდველი”.

7.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

7.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს “შემსყიდველის” მხრიდან უზრუნველყოფს სს “საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის”——————————————

7.5 კონტროლი განხორვიელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2“მიმწოდებლის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად შესრულებულ მომსახურებაზე.

8.3 მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში “შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს “მიმწოდებელს” სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი).

8.4 ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ——(——) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ თარგმნის მომსახურების შესყიდვაზე.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–

მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

11.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2. “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც „შემსყიდველის“ მხრიდან მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს იწვევს;

11.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ თარგმნის მომსახურების შესყიდვაზე.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. დავათა განხილვა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და

დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის ————————— ჩათვლით.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი” “მიმწოდებელი“

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია:

1. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.
2. ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
    1. შევსებული ფასთა ცხრილის ფორმა **(დანართი #1).**
    2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.**(დანართი #2)**
    3. თარგმანი ინგლისურიდან ქართულზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე **(დანართი # 3)**
    4. **ინფორმაცია გამოცდილების შესახებ.**
3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით მე–6 მუხლის შესაბამისად.
4. ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
5. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
6. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

საკონტაქტო ინფორმაცია

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ინფორმაციისათვის და განმარტებებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის მდივანს: **თორნიკე ყაზარაშვილი** ტელ; 218 11 31, მობ: 599 88 44 24, ელ. ფოსტა: t.kazarashvili@gedf.com.ge